ქართული, როგორც მეორე ენა 2015

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა ტესტის ბუკლეტი და პასუხების ფურცელი.

გაითვალისწინეთ, გასწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი!
პასუხების ფურცლის გაკეცვა დაუშვებელია!
ტესტის ბუკლეტი შეგიძლიათ გამოიყენოთ შავი სამუშაოსათვის!

გამოცდის მაქსიმალური ქულაა 100, ხოლო ამ ბუკლეტში მოცემული დავალებებისა - 89.

გაითვალისწინეთ, რომ გამოცდა ხუთი ნაწილისაგან (მოსმენა, კითხვა, წერა, ლაპარაკი, მეთოდიკა) შედგება და წარმატების მისაღწევად საჭიროა მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვა ხუთივე ნაწილში.

ასევე აუცილებელია მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვა მთლიან ტესტშიც.

№№ 1-21 დავალებების პასუხები შეგიძლიათ შემოხაზოთ ტესტის ბუკლეტში და პასუხების ფურცელზე შემდეგნაირად გადაიტანოთ: ყოველი დავალების ნომრის ქვეშ განთავსებულ უჯრედებში **X** ნიშანი უნდა დასვათ იმ უჯრედში, რომელიც, თქვენი აზრით, სწორ პასუხს შეესაბამება.

<u>პასუხების გადატანისას არ აგერიოთ დავალებების ნომრები!</u>

პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომის შემთხვევაში მთლიანად გააშავეთ არასწორად მონიშნული უჯრედი და იმავე ნომრის ქვეშ მონიშნეთ სხვა.

№№ 22, 23, 25 და 26 დავალებების პასუხები შესაბამის ნომრებთან განთავსებულ ცხრილებში უნდა გადაიტანოთ (ამასთან დაკავშირებით უფრო დაწვრილებით მითითებებს ტესტის ბუკლეტში იხილავთ).

№№ 27-31 დავალებების პასუხები უნდა დაწეროთ პასუხების ფურცელზე მხოლოდ ამ დავალებების ნომრების გასწვრივ მოცემულ ხაზებზე (ტესტის ბუკლეტში დატოვებულია ხაზები შავი სამუშაოს შესასრულებლად). იმყოფინეთ გამოყოფილი ადგილები.

№ 24 ანუ წერითი დავალების შესასრულებლად პასუხების ფურცელზე ერთი გვერდია დატოვებული.
იმყოფინეთ გამოყოფილი ადგილი!
ისევე, როგორც ყველა სხვა დავალებისათვის, წერითი დავალებისათვისაც ტესტის ბუკლეტში ადგილია დატოვებული შავი ვარიანტის დასაწერად.

გახსოვდეთ: აუცილებელია ყველა პასუხის გადატანა პასუხების ფურცელზე!
გაითვალისწინეთ, არ გასწორდება ის დავალება, რომელიც პასუხების ფურცელზე საგანგებოდ ამ დავალებისათვის გამოყოფილ ადგილას არ იქნება გადატანილი!
<u>არსად მიუთითოთ თქვენი სახელი და გვარი</u> და არც პიროვნების იდენტიფიცირების სხვა საშუალება, წინააღმდეგ შემთხვევაში **ნაშრომი არ გასწორდება!**

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 5 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

I. მოსმენა (11 ქულა)

ყურადღებით მოისმინეთ ტექსტი და ყოველი კითხვის ოთხ-ოთხი სავარაუდო პასუხიდან აირჩიეთ და შემოხაზეთ სწორი პასუხები. ***უმჯობესია დავალება ტექსტის მოსმენის დროს შეასრულოთ.***
ტექსტს მოისმენთ ორჯერ.
ტექსტის ჩანაწერის მოსმენამდე დავალების გასაცნობად გეძლევათ 45 წამი.
პასუხები გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე.

(1) **1. თავდაპირველად რომელი ქვეყნის მონახულებას ურჩევს რესპონდენტი მოგზაურობით გატაცებულ ახალგაზრდებს?**
ა) რომელიც მათი ქვეყნისაგან რადიკალურად განსხვავდება.
ბ) რომელშიც მოგზაურობა უფრო იაფი იქნება.
გ) უმჯობესია ჯერ მეზობელი ქვეყანა მოინახულონ.
დ) უმჯობესია ჯერ საკუთარ ქვეყანაში იმოგზაურონ.

(1) **2. რა გამოარჩევს და განასხვავებს საქართველოს ბევრი სხვა ქვეყნისაგან?**
ა) აქ განსაკუთრებით ლამაზი და მიმზიდველი ბუნებაა.
ბ) აქ მოგზაურებს განსაკუთრებული პატივისცემით ხვდებიან.
გ) აქ მოგზაურობა საშუალო შემლების ადამიანისთვისაც ხელსაყრელია.
დ) აქ სხვადასხვა ეკოსისტემა ერთად არის თავმოყრილი.

(1) **3. რას აქვს უმთავრესი მნიშვნელობა სასკოლო ექსკურსიის დაგეგმვისას?**
ა) ბავშვების ფიზიკურ მომზადებას.
ბ) ექსკურსიის მარშრუტის შერჩევას.
გ) ექსკურსიის მიზანსა და ამოცანას.
დ) მოსალოდნელი ხარჯების გათვალისწინებას.

(1) **4. რესპონდენტის აზრით, რა თვალსაზრისით არის ყველაზე მნიშვნელოვანი ბავშვებისათვის ლაშქრობებში სიარული?**
ა) ბუნებასთან დაახლოების თვალსაზრისით.
ბ) ინტერესების სფეროს გაფართოების თვალსაზრისით.
გ) სოციალური ურთიერთობების ჩამოყალიბების თვალსაზრისით.
დ) ფიზიკური გაჯანსაღების თვალსაზრისით.

(1) **5. რომელი ასაკის მკითხველებისათვის არის განკუთვნილი ჟურნალი „National Geographic"-ი?**
ა) 14-15 წლისა და მათზე უფროსი მკითხველებისათვის.
ბ) მხოლოდ მოზარდებისა და ახალგაზრდებისათვის.
გ) მხოლოდ უმცროსი ასაკის ბავშვებისათვის.
დ) როგორც უმცროსი ასაკის, ისე ზრდასრული ადამიანებისათვის.

(1) **6. ადვილად აღსაქმელია თუ არა ჟურნალში გამოქვეყნებული ინფორმაცია?**
ა) ვიზუალური მასალა მარტივად აღსაქმელია, წასაკითხი კი – არა.
ბ) ვიზუალური მასალა ძნელად აღსაქმელია, წასაკითხი კი – არა.
გ) როგორც ვიზუალური, ისე წასაკითხი მასალა მარტივად აღსაქმელია.
დ) როგორც ვიზუალური, ისე წასაკითხი მასალა ძნელად აღსაქმელია.

(1) **7. ინფორმაციის მოწოდებისას რის გარანტიას იძლევა ჟურნალის რედაქცია?**
ა) ამ ინფორმაციას აუცილებლად გამოიყენებთ.
ბ) ამ ინფორმაციას სხვაგან ვერ ნახავთ.
გ) ეს ინფორმაცია პირველად ქვეყნდება.
დ) ეს ინფორმაცია ძალიან სანდოა.

(1) **8. რაში ვერ დაეხმარება ეს ჟურნალი მასწავლებლებს?**
ა) გაკვეთილის გამრავალფეროვნებაში.
ბ) კვალიფიკაციის ამაღლებაში.
გ) პედაგოგიკური სიახლეების გაცნობაში.
დ) სხვადასხვა ინფორმაციის მოძიებაში.

(1) **9. როგორია, ლევან ბუთხუზის აზრით, ბავშვების უმრავლესობის დამოკიდებულება სწავლის მიმართ?**
ა) ბავშვების უმრავლესობა დიდი ინტერესით სწავლობს.
ბ) ბავშვების უმრავლესობა მოვალეობის გამო სწავლობს.
გ) ბავშვების უმრავლესობისათვის სწავლა სიამოვნებაა.
დ) ბავშვების უმრავლესობისათვის სწავლა ტანჯვაა.

(1) **10. საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის რომელ ნაკლზე საუბრობს რესპონდენტი?**
ა) სასწავლო პროგრამები გადატვირთულია.
ბ) სასწავლო პროგრამები მოძველებულია.
გ) სახელმძღვანელოები ინფორმაციით გადატვირთულია.
დ) სწავლების მეთოდები დასახვეწია.

(1) **11. ლევან ბუთხუზის აზრით, რა არის საჭირო განათლების სისტემაში წარმატების მისაღწევად?**
ა) გადატვირთული სასწავლო პროგრამების შემცირება.
ბ) ინტელექტუალური პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება.
გ) მასწავლებელთათვის დამხმარე ლიტერატურის მიწოდება.
დ) სახელმძღვანელოებში გამოყენებული ტერმინოლოგიის გამარტივება.

II. კითხვა (28 ქულა)

(10) **ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთი რიუნოსკე აკუტაგავას მოთხრობიდან „მანდარინები“:**

ზამთრის პირქუში მწუხრი ჩამოწოლილიყო. კოსუკატოკიოს მატარებლის მეორე კლასის ვაგონის კუთხეში ვიჯექი და მოუთმენლად ველოდი გამგზავრების მაუწყებელი სასტვენის ხმას. სინათლე კარგა ხანია, რაც ჩართეს, მაგრამ ჩემ გარდა მგზავრი ვაგონში აღარავინ ამოდიოდა. კაციშვილი არ ჭაჭანებდა გარეთაც, ნახევრად ჩაბნელებულ ბაქანზე; გამცილებლებიც კი არ ჩანდნენ. მხოლოდ დროდადრო საწყალობლად თუ დაიწკმუტუნებდა გალიაში დამწყვდეული ძაღლი. ყოველივე ეს საოცარი ჰარმონიით ერწყმოდა ჩემს მაშინდელ გუნება-განწყობილებას. ენით უთქმელი დაღლილობა და კაეშანი გონებას მიბინდავდა, მოქუშული ვიყავი თოვლიან ცასავით...

როგორც იქნა გაისმა სასტვენის ხმა. ოდნავი შვება ვიგრძენი, თავი სარკმლის ჩარჩოს მივაყრდენი და ველოდი, როდის გაცურდებოდა და გაუჩინარდებოდა სადგური სარკმლის მიღმა. ამ დროს ტურნიკეტის მხრიდან ბაქანზე გეტას ბაკაბუკი მოისმა, რახრახით გაიღო კარი და ვაგონში ქოშინით შემოვიდა ცამეტი-თოთხმეტი წლის გოგო...

ნამდვილი სოფლელი გომბიო გახლდათ. ნაყვავილარი, დამსკდარი ღაწვები ისე დაბრაწოდა, უსიამო შთაბეჭდილებას ტოვებდა. დამზრალ ხელში საგულდაგულოდ ეჭირა მესამე კლასის ვაგონის წითელი ბილეთი. თვალში არ მომივიდა გოგოს ტეტიური სიფათი, და ბოლოს, ძალზე გამაღიზიანა თავისი სიბენტერით – მეორე და მესამე კლასის ვაგონები რომ ვერ გაერჩია ერთმანეთისაგან. პაპიროსს ვეწეოდი და ვცდილობდი დამევიწყებინა გოგოს არსებობა. ამასთან, რაკი უსაქმოდ გახლდით, გაზეთი გავშალე.

გაზეთის გვერდებზე საინტერესოს ვერაფერს ვხედავდი; ყველაფერი, რაც ამქვეყნად ხდებოდა, ძალზე ბანალური იყო იმისათვის, რომ ჩემი სევდა გაექარვებინა... ისეთი უცნაური ილუზია შემექმნა, თითქოს გვირაბში შესული მატარებელი საწინააღმდეგო მიმართულებით გაექანა და უნებლიეთ ერთი მოსაბეზრებელი წერილიდან მეორეზე გადამქონდა მზერა. და მაინც, მთელი ამ ხნის მანძილზე წამითაც ვერ დამევიწყებინა ჩემ წინ მჯდომი გოგო – ჩვენი არსებობის უღიმღამო სინამდვილის ცოცხალი განსახიერება. და ყველაფერი ეს ერთად – გვირაბში მოგრიალე მატარებელი, სოფლელი გომბიოცა და ბანალური სტატიებით გაჭედილი გაზეთიც, მეტი რა იყო, თუ არა ჩვენი გაურკვეველი, უბადრუკი და მოსაბეზრებელი

ცხოვრების თავისებური სიმბოლო? ყოველივე უაზროდ მეჩვენა. წაუკითხავი გაზეთი გვერდზე მივაგდე, თავი კვლავ ფანჯრის ჩარჩოს მივაყრდენი, თვალი მივლულე და თვლემას მივნებდი.

გავიდა რამდენიმე წუთი. რაღაცამ დაფეთიანებულივით წამომაგდო და რას ვხედავ: გოგოს თავისი ადგილი მიუტოვებია, გვერდით ამომდგომია და ჯიუტად ცდილობს სარკმლის გაღებას, მაგრამ მძიმე ჩარჩო არ ნებდება. კიდევ უფრო აწითლებოდა დახეთქილი ლოყები, წამდაუწუმ სრუტუნებდა და მძიმედ ხვნეშოდა ფანჯარას შეჭიდებული. გოგო არ ცხრებოდა, საგანგებოდ დაკეტილი ფანჯრის გაღებას ლამობდა, მაგრამ რატომ, ეს ვერ გამეგო. მისმა ამაო გარჯამ თანაგრძნობითაც კი განმაწყო, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ყველაფერი ჭირვეულობად ჩავუთვალე. კვლავ ადრინდელი გულგრილობითა და პირქუშად შევცქეროდი...

ის იყო ვინატრე, ვერ მიეღწია საწადლისთვის, რომ მატარებელი შემზარავი გრიალით შევარდა გვირაბში და იმავე წამს ჩარჩოც, რომლის ჩამოშვებაზეც ასე წვალობდა გოგო, დაბლა ჩამოეხეთქა. ფანჯრის მართკუთხა ღიობში უმალ მახრჩობელა ბოლად ქცეული შავი, ჭვარტლით შესქელებული ჰაერი შემოიჭრა. სახეზე ცხვირსახოცის აფარებაც ვერ მოვასწარი, რომ ბოლის ტალღა თავზე გადამევლო და წლების მანძილზე ყელის ტკივილისგან გაწამებულს, ისეთი ხველა ამიტყდა, ლამის დავიხრჩე. გოგო ყურადღების ღირსად არ მხდიდა, ფანჯარაში გაეყო თავი, არაფრად აგდებდა ქარს, თმას რომ უწეწავდა და წინ იყურებოდა, მატარებლის მოძრაობის მიმართულებით. შევცქეროდი მას, ბოლსა და ელექტროშუქში გახვეულს, და ფანჯრიდან დღის სინათლე რომ არ გამოჩენილიყო, რომ არ შემოჭრილიყო მიწის, თივისა და წყლის მაცოცხლებელი სურნელი და ხველება რომ არ შემწყვეტოდა, ალბათ ლაზათიანად გამოვლანძღავდი და ფანჯარასაც ისე ჩავუკეტავდი, თავის დღეში ვეღარ გაეღო.

გვირაბიდან მდორედ გამოცურებული მატარებელი ახლა ღარიბული გარეუბნის გადასასვლელზე მიგრიალებდა, რომელსაც ორივე მხრიდან გამხმარი ბალახით დაფარული გორაკები ეკრა. მოჩანდა ჩალითა და კრამიტით გადახურული, ერთმანეთზე მიჯრილი სახლების უსუფთაო სახურავები; აგერ მეისრეც გამოჩნდა, უნდილად რომ აქნევდა ბინდში თავის თეთრ ალამს. როგორც კი მატარებელი გვირაბიდან გავიდა, შლაგბაუმის მიღმა, უდაბურ გადასასვლელთან, ერთმანეთის გვერდით ჩამწკრივებული სამი ლოყებღაჟღაჟა ბიჭუნა დავინახე. ერთი სიმაღლისანი იყვნენ, ჩია ტანისანი, თითქოს მოღუშულ ცას დაეტანა სამივე. ტანსაცმელიც იმავე ფერისა ემოსათ, რა ჯანღისფრადაც გამოიყურებოდა ეს გარეუბანი. ბავშვებს თვალი ვერ მოეწყვიტათ მატარებლისთვის; მერე ერთდროულად ასწიეს ხელები და მისალმების მაგვარი რაღაც შეჰყვირეს მთელი ხმით. სწორედ ამ დროს მოხდა მოულოდნელი რამ: ფანჯარაში მთელი ტანით გადახრილმა გოგომ წინ გაწვდილი დამზრალი ხელების ქნევა დაიწყო და უცებ ბავშვებს, მატარებელს მზერით რომ მიაცილებდნენ, თავზე გადააცვივდათ რამდენიმე ცალი მანდარინი, რომელთა ფერშიც მზე და სითბო გამოჭვიოდა; უნებურად გული ამითრთოლდა და სუნთქვა შემეკრა... ახლა მივხვდი ყველაფერს... გოგონას, რომელიც ალბათ სამუშაოს საძებნელად მიეშურებოდა, გასაცილებლად გამოსული ძმებისთვის საგანგებოდ შემოენახა უბეში მანდარინები...

მწუხრში ჩაძირულმა გადასასვლელმა, ბელურებივით აჟივჟივებულმა სამმა ბიჭუნამ და მათთვის გადაყრილმა მანდარინების ცინცხალმა ელვარებამ თვალის დახამხამებაში ჩაიქროლა ფანჯრის მიღმა. მტკივნეული სიცხადით ჩამებეჭდა გულში ეს სურათი... ვიგრძენი, როგორ ჩამეღვარა სულში ჯერაც გაურკვეველი, ნათელი გრძნობა. აღელვებულმა თავი წამოვწიე და სულ სხვა თვალით დავინახე გოგო. იგი თავის ადგილზე დაბრუნებული უწინდებურად მალავდა დახეთქილ ღაწვებს შალის მწვანე შარფში, მოზრდილ ფუთას ჩასჭიდებოდა და მაგრად ჩაებღუჯა ხელში მესამე კლასის ვაგონის ბილეთი.

ახლაღა შევძელი, დროებით დამევიწყებინა დაღლილობა, კაეშანი და ჩვენი იდუმალი, უბადრუკი და მოსაწყენი ცხოვრება.

თარგმნა ჯემალ მჭედლიშვილმა

დავალების შესასრულებლად ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი და შემოხაზეთ. მონიშნული პასუხები გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე ამგვარად: პასუხების შესაბამის უჯრედებში გააკეთეთ აღნიშვნა – **X**.

(1) **12. რა არის პირველი აბზაცის მიზანი?**

ა) აღწეროს ზამთრის პირქუში პეიზაჟი.

ბ) აღწეროს რკინიგზის სადგურის სურათი.
გ) გაგვაცნოს დატყვევებული ძაღლის მდგომარეობა.
დ) გაგვაცნოს მთხრობლის სულიერი მდგომარეობა.

(1) **13. რომელ ფრაზაში გვხვდება მხატვრული საშუალება?**
ა) „ვაგონში ქოშინით შემოვიდა ცამეტი-თოთხმეტი წლის გოგო“.
ბ) „კაეშანი გონებას მიბინდავდა, მოქუშული ვიყავი თოვლიან ცასავით“.
გ) „მოუთმენლად ველოდი გამგზავრების მაუწყებელი სასტვენის ხმას“.
დ) „საწყალობლად თუ დაიწკმუტუნებდა გალიაში დამწყვდეული ძაღლი“.

(1) **14. რომელ ფრაზაში ჩანს მგზავრის სუბიექტური დამოკიდებულება გოგოს მიმართ?**
ა) „აწითლებოდა დახეთქილი ლოყები“.
ბ) „ვაგონში ქოშინით შემოვიდა“.
გ) „სოფლელი გომბიო გახლდათ“.
დ) „ხვნეშოდა ფანჯარას შეჭიდებული“.

(1) **15. რაზე მიანიშნებს ფრაზა:** „ისეთი უცნაური ილუზია შემექმნა, თითქოს გვირაბში შესული მატარებელი საწინააღმდეგო მიმართულებით გაექანა“**?**
ა) მგზავრისთვის არსებული რეალობა მისაღებია.
ბ) მგზავრისთვის არსებული რეალობა მიუღებელია.
გ) მგზავრს სურს გაქანებული მატარებელი შეაჩეროს.
დ) მგზავრს სურს უღიმღამო სინამდვილეს შეეგუოს.

(1) **16. თავდაპირველად რის სიმბოლოა მგზავრისათვის გოგო, რომელსაც, სურვილის მიუხედავად, ვერ ივიწყებს?**
ა) დამღლელი და მომქანცველი მგზავრობისა.
ბ) უინტერესო და უბადრუკი ცხოვრებისა.
გ) უპერსპექტივო და უაზრო მომავლისა.
დ) ღარიბი და ჭუჭყიანი სოფლისა.

(1) **17. რომელ ფრაზაში ჩანს მგზავრის გადაწყვეტილება, თავი დააღწიოს უსიამოვნო გარემოს?**
ა) „თავი კვლავ ფანჯრის ჩარჩოს მივაყრდენი“.
ბ) „თვალი მივლულე და თვლემას მივნებდი“.
გ) „ძალზე გამაღიზიანა თავისი სიბენტერით“.
დ) „წაუკითხავი გაზეთი გვერდზე მივაგდე“.

(1) **18. როგორ ხასიათს ამჟღავნებს ფანჯარას შეჭიდებული გოგო?**
ა) მიზანმიმართული და მებრძოლია.
ბ) სასოწარკვეთილი და ბეჩავია.
გ) უყურადღებო და თავხედია.
დ) უხეში და ჭირვეულია.

(1) **19. რომელ დეტალს იყენებს მწერალი უღიმღამო გარემოსთან კონტრასტის შესაქმნელად?**
ა) ბიჭების ღაჟღაჟა ლოყებს.
ბ) მანდარინების ცინცხალ ელვარებას.
გ) მეისრის თეთრ ალამს.
დ) გოგონას მწვანე შარფს.

(1) **20. რომელი ფრაზა მიანიშნებს მგზავრის შინაგანი ფერისცვალების დასაწყისზე?**
ა) „ბოლოს და ბოლოს ყველაფერი ჭირვეულობად ჩავუთვალე“.
ბ) „ის იყო ვინატრე, ვერ მიეღწია საწადლისთვის“.
გ) „მისმა ამაო გარჯამ თანაგრძნობითაც კი განმაწყო“.

დ) „უნებურად გული ამითრთოლდა და სუნთქვა შემეკრა“.

(1) **21. რა არის ამ ტექსტის მთავარი სათქმელი?**

ა) ამპარტავანი ადამიანი საზოგადოების წევრებს სოციალური ნიშნით ყოფს.
ბ) დეპრესიული ადამიანი სამყაროს ყოველთვის პირქუშ ფერებში აღიქვამს.
გ) ემოციურ ადამიანს არ შეუძლია რეალობას წინ აღუდგეს.
დ) ფაქიზი სულის ადამიანს შეუძლია უფერული ცხოვრება გაალამაზოს.

(8) **22. ტექსტიდან ამოღებულია 8 წინადადება. აღადგინეთ ტექსტი ქვემოთ მოცემული წინადადებების მეშვეობით. გაითვალისწინეთ, 2 წინადადება ზედმეტია.**

საიათნოვა

საიათნოვა აშუღური პოეზიის თვალსაჩინო წარმომადგენელია. აშუღი სახალხო პოეტი და მომღერალი იყო ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებსა და კავკასიაში. აშუღები თხზავდნენ სასიმღერო ტექსტებს (ხშირ შემთხვევაში იმპროვიზირებულად), უწყობდნენ ჰანგებს და თავადვე მღეროდნენ რომელიმე სიმებიანი საკრავის თანხლებით. ---------- (1).

აშუღური პოეზია საქართველოში სპარსეთიდან შემოვიდა და განსაკუთრებით XVIII ს-ში განვითარდა. ---------- (2). მათ არაერთხელ გამოუყენებიათ აშუღური სიმღერის დამახასიათებელი ფორმა – მუხამბაზი. ---------- (3). ქართული მწერლობისა და ფოლკლორული ტრადიციების გავლენით აშუღური ლექსი დაიხვეწა და ეროვნული იერი შეიძინა. ამის მაგალითია საიათნოვასა და იეთიმ გურჯის მემკვიდრეობა.

საიათნოვამ, საქართველოში მოღვაწე ეთნიკურად სომეხმა პოეტმა და მომღერალმა, ბრწყინვალედ იცოდა ქართული, აზერბაიჯანული და სპარსული ენები. ---------- (4). საიათნოვა ქართულ ენას სომხურთან ერთად მშობლიურად თვლიდა და თბილისი სამშობლოდ მიაჩნდა, რაც მის სიმღერებშიც იგრძნობა. ---------- (5).

საიათნოვა ჯერ თბილისში ცხოვრობდა, შემდეგ – თელავში. იგი სამეფო კარის მომღერალი და მუსიკოსი იყო და, გადმოცემის თანახმად, დიპლომატის ფუნქციასაც ასრულებდა. ---------- (6). თუმცა 1765 წელს მეფე ერეკლეს იგი სასახლიდან გაუძევებია. გაძევების მიზეზად მკვლევრების ნაწილი დიდგვაროვანი ქალის სიყვარულს მიიჩნევს, ზოგი კი – პოეტის მოურიდებელ ენასა და კრიტიკულ დამოკიდებულებას მაღალი წრის ადამიანების მიმართ. ---------- (7).

1768 წელს ის ბერად აღიკვეცა ახპატის მონასტერში, სადაც მეცნიერი ბერის (სან ვარდაპეტის) წოდება მიენიჭა. გადმოცემის თანახმად, აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის ამბავი რომ გაუგია, საიათნოვა თბილისში ჩამოსულა და მონასტერში ლოცვად დამდგარა. ---------- (8). საიათნოვა დაკრძალულია თბილისის სურფ-გევორქის ეკლესიაში.

გამოტოვებული წინადადებები:

ა) 1962 წელს საბჭოთა კავშირში გამოვიდა მარკა, რომელზედაც საიათნოვაა გამოსახული.
ბ) ამბობენ, რომ მისი შუამავლობით შესაძლებელი გახდა საქართველოს, სომხეთისა და შირვანის ალიანსი სპარსეთის იმპერიის წინააღმდეგ.
გ) ამ პოეზიის გავლენა საგრძნობია ბესიკის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებაში (ამათგან პირველი ორი პოეტი თვითონ ამღერებდა საზზე თავის ლექსებს).
დ) აქედან გამომდინარე, ნამდვილი აშუღი დამკვრელიც უნდა ყოფილიყო, მომღერალიც და ავტორიც.
ე) იგი ლექსებს ქართულად, სომხურად და აზერბაიჯანულად ქმნიდა.
ვ) როგორც ერთ აზერბაიჯანულ ლექსში ამბობს: „ჩემი სამშობლო თბილისია, საქართველოს გული“.
ზ) როდესაც მტერს მისთვის სარწმუნოების გამოცვლა მოუთხოვია, უარი უთქვამს და პოეტი სიკვდილით დაუსჯიათ.
თ) საიათნოვას სახელობის სკვერი თბილისში მეიდანზეა.
ი) საიათნოვა ძალიან განიცდიდა სასახლიდან გაძევებას და ეს ბედის უსამართლობად მიაჩნდა.
კ) ცნობილია, აგრეთვე, აკაკი წერეთლის მუხამბაზები – „რომ იცოდე ჩემი გულის დარდები“, „ნახევარი ცხოვრების გზა“...

<u>ამ დავალების პასუხები პასუხების ფურცელზე გადაიტანეთ შემდეგნაირად:</u> 22-ე ნომრის გასწვრივ მოცემულ ცხრილში ყოველი წინადადების რიგით ნომერს შეუსაბამეთ იმ წინადადების აღმნიშვნელი ასო, რომელიც, თქვენი აზრით, ამ კონკრეტულ შემთხვევაშია გამოტოვებული და <u>გადამკვეთ უჯრედში</u> ჩასვით **X** ნიშანი.

(10) **23. წაიკითხეთ ტექსტი და გაარკვიეთ, ჩამოთვლილი წინადადებებიდან რომელი შეესაბამება ტექსტის შინაარსს და რომელი – არა. თუ წინადადება შეესაბამება ტექსტის შინაარსს, მიუთითეთ იმ აბზაცის ნომერი, რომელიც თქვენი პასუხის დამადასტურებელ ინფორმაციას შეიცავს *(გაითვალისწინეთ, თუ აბზაცის ნომერი სწორად არ იქნება მითითებული, შესაბამისი პასუხი არასწორად ჩაგეთვლებათ).* აღნიშვნები გააკეთეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილში *(ნიმუში მოცემულია).***
არ დაგავიწყდეთ პასუხების გადატანა პასუხების ფურცელზე.

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ 1989 წლის 20 ნოემბერს მიიღო ბავშვთა უფლებების კონვენცია, რომელიც ძალაში 1990 წლიდან შევიდა. ამ დოკუმენტმა საყოველთაო აღიარება მოიპოვა – იგი რატიფიცირებულია მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფოს მიერ. შესაბამისად, ამ სახელმწიფოებს კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების სამართლებრივი პასუხისმგებლობა აქვთ აღებული. ეს არის პირველი სავალდებულო საერთაშორისო დოკუმენტი, რომელმაც ბევრი რამ შეცვალა ბავშვთა უფლებების დაცვის სფეროში. საქართველო აღნიშნულ კონვენციას 1994 წელს შეუერთდა.

2. კონვენცია შედგება 54 მუხლისაგან, რომელთაგან პირველი 42 ეხება ბავშვის დაცვის ძირითად პრინციპებს: ბავშვის უფლებებს, მის აღზრდასთან დაკავშირებულ მოვალეობებსა და ვალდებულებებს. დანარჩენ მუხლებში (43-54) საუბარია იმის შესახებ, თუ რა უნდა გააკეთონ სახელმწიფომ და ზრდასრულმა ადამიანებმა ერთად კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად.

3. კონვენცია ბავშვს განიხილავს კანონის სუბიექტად და არა ობიექტად. ტრადიციულად, ადამიანების უდიდესი ნაწილი დარწმუნებულია, რომ ბავშვი ითვლება ობიექტად, რომელიც უპირობოდ უნდა დაემორჩილოს უფროსებს: მასწავლებლებს, მშობლებს, ექიმებსა და ა. შ. ამის ნაცვლად, კონვენცია ამკვიდრებს იდეას, რომ ბავშვები არიან გარკვეული უფლებების მქონე ადამიანები, რომლებსაც პატივი უნდა სცენ უფროსებმა, საზოგადოებამ და ბავშვთა დაცვის ყველა ორგანიზაციამ. ბავშვს აქვს აზრის გამოხატვისა და გაზიარების უფლება, თუ იგი არ არის მისთვის ან სხვისთვის საზიანო. მას აქვს უფლება მიიღოს ინფორმაცია მედიის საშუალებით, სახელმწიფომ კი მხარი უნდა დაუჭიროს მედიას ბავშვისათვის სასარგებლო ინფორმაციის გავრცელებაში. სახელმწიფომ უნდა დაიცვას ბავშვი მშობლის, მეურვის ან ნებისმიერი სხვა პირის ძალადობისაგან.

4. ბავშვთა უფლებების კონვენცია სფეროთა ფართო სპექტრს მოიცავს – ადმინისტრაციულს, სამართლებრივს, საგანმანათლებლოს, იურიდიულსა და სხვა. მაგალითად, რაც შეეხება საგანმანათლებლო სფეროს, ბავშვს აქვს უფლება და ვალდებულება უფასოდ მიიღოს დაწყებითი განათლება; სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს საშუალო და უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა. დისციპლინის მოთხოვნა სკოლაში უნდა ითვალისწინებდეს ბავშვის ღირსებისა და ინტერესების დაცვას. სკოლამ უნდა მოამზადოს ბავშვი სრულფასოვანი ცხოვრებისათვის, ასწავლოს მშობლების, თავისი და სხვა ქვეყნების კულტურებისა და რელიგიების პატივისცემა. თუ სახელმწიფოში მოქმედი კანონები უკეთესად იცავს ბავშვს, ვიდრე ეს კონვენცია, მაშინ უპირატესობა სახელმწიფოში მოქმედ კანონებს ენიჭება.

წინადა-დების №	წინადადებები	დიახ	არა	აბზა-ცის №
0.	ბავშვს აქვს უფასო დაწყებითი განათლების მიღების როგორც უფლება, ასევე ვალდებულება.	X		4
1.	ბავშვს აქვს უფლება გამოხატოს ან გაუზიაროს სხვას ნებისმიერი სახის ინ-ფორმაცია.			
2.	ბავშვის ობიექტად განხილვა ნიშნავს, რომ ის უფროსების ნება-სურვილის აღმსრულებელ პირადაა მიჩნეული.			
3.	ბავშვის უფლებების დაცვის თვალსაზრისით უპირატესობა ყოველთვის სახელმწიფოში მოქმედ კანონებს ენიჭება.			
4.	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ შემუშავებული კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ ძალაში მიღებისთანავე შევიდა.			
5.	დოკუმენტის რატიფიცირება ნიშნავს სახელმწიფოს მიერ მის შესრულება-ზე სამართლებრივი პასუხისმგებლობის აღებას.			
6.	კონვენციის ბოლო მუხლები სახელმწიფოსა და ზრდასრული ადამიანების უფლებების გამიჯვნას ეხება.			
7.	კონვენციის მიხედვით, სახელმწიფო არ უნდა ჩაერიოს ბავშვისა და მშობ-ლის ურთიერთობაში.			
8.	კონვენციის მუხლების უმრავლესობა ბავშვის დაცვის უმთავრეს პრინცი-პებს ეხება.			
9.	პირველ საერთაშორისო კონვენციას გარკვეული ცვლილებები მოჰყვა ბავ-შვთა უფლებების დაცვის სფეროში.			
10.	სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს მედიას ბავშვებისათვის სასარგებლო ინფორმაციის გავრცელებაში.			

III. წერა (20 ქულა)

24. არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ქვემოთ მოცემულ მოსაზრებას ან უარყავით იგი.

„დაიზეპირე“ – ასე დაასათაურა უმბერტო ეკომ შვილიშვილისადმი გაგზავნილი წერილი, რომელშიც აღნიშნავს: „იცი, რა არის ცუდი? იმის შეგრძნება, რომ კომპიუტერს ნებისმიერ მომენტში შეუძლია გასცეს პასუხი შენს შეკითხვას, გიქრობს სურვილს, ინფორმაცია დაიმახსოვრო“.

შავი სამუშაოსათვის:

IV. მეთოდიკა (30 ქულა)

(10) **25. ტექსტში დაშვებულია ორთოგრაფიული, მორფოლოგიური და სინტაქსური შეცდომები (სტრიქონში არა უმეტეს ერთისა).**
ზოგ სტრიქონში დაშვებულია შეცდომა, ზოგში – არა. სტრიქონების გასწვრივ მოცემულ ხაზებზე დაწერეთ სწორი ფორმები. თუ სტრიქონში შეცდომა არ არის, გააკეთეთ აღნიშვნა – √ *(ნიმუში მოცემულია).* არ დაგავიწყდეთ პასუხების გადატანა პასუხების ფურცელზე.

ტექსტი	სწორი ვარიანტები
გიორგი ქართველიშვილი 19-ე საუკუნის ერთ-ერთი საკმაოდ წარმატებული	**00.** ------ **მე-19** -------
მეწარმე იყო, თუმცა ის უფრო ცნობილია საქველმოქმედო საქმიანობით.	**0.** --------- **√** ----------
ქართველიშვილი აფინანსებდა ძველ ტაძრების სარესტავრაციო სამუშაოებს,	1. ----------
წიგნებით ამარაგებდა სასწავლებლებს, ფინანსურათ ეხმარებოდა სტუდენტებს.	2. ----------
განსაკუთრებით უნდა ავღნიშნოთ მისი დამსახურება „ვეფხისტყაოსნის“ გამო-	3. ----------
ცემის საქმეში. ქართველიშვილმა პოემის ილუსტრაციების შესაქმნელად ჩვენს	4. ----------
ქვეყანაში მოიწვია უნგრელი მხატვარი მიხაი ზიჩი, შეიძინა ახალი შრიფტი,	5. ----------
რადგან წიგნი მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოეცა. მისივე წინადადებით შე-	6. ----------
იქმნა კომისია, რომელსაც უნდა ემუშავა ტექსტის რამდენიმე ვარიანტების შეჯე-	7. ----------
რება-დადგენაზე. ზიჩისეული ილუსტრაციებით გაფორმებული „ვეფხისტყაოს-	8. ----------
ნის“ მთელი ტირაჟი ქველმოქმედმა საჩუქრად გადაცა „ქართველთა შორის	9. ----------
წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“.	10. ----------

(6) **26. ცხრილში მოცემულ თითოეულ <u>სასწავლო ქმედებას</u> შეუსაბამეთ ერთ-ერთი <u>მიზანი</u>. გაითვალისწინეთ, ჩამოთვლილთაგან <u>სამი მიზანი</u> ზედმეტია.**

სასწავლო ქმედება	მიზანი
1. მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს და ეძებენ იმ მონაკვეთს, რომელშიც ჩანს პერსონაჟის ქცევის მოტივი.	**ა)** სქემატური ჩანაწერების ტექნიკის დაუფლება.
2. მოსწავლე კითხულობს თანაკლასელის ნაწერს და ასწორებს გრამატიკულ შეცდომებს, სტილისტურ ხარვეზებს.	**ბ)** ზეპირი კომუნიკაციის უნარის განვითარება.
3. პირველკლასელი მოსწავლეები იხსენებენ და წარმოთქვამენ სიტყვებს, რომლებიც იწყება მასწავლებლის მიერ დასახელებულ ბგერაზე.	**გ)** მოცემული ინფორმაციის მიხედვით ტექსტის ორგანიზების უნარ-ჩვევების გამომუშავება.
4. მასწავლებლის დავალებით ორი მოსწავლე წარმართავს დიალოგს ნანახი ფილმის შესახებ.	**დ)** სიტყვის მნიშვნელობის ამოცნობა კონტექსტზე დაყრდნობით.
5. მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს, მონიშნავენ უცნობ ლექსიკურ ერთეულებს და წერენ თითოეულის განმარტების საკუთარ ვერსიას.	**ე)** მონოლოგური მეტყველების უნარის განვითარება.
6. მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს ბარათებს, რომლებზედაც მოცემულია ცალკეული ცნობები მწერლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ და სთხოვს მათ დაწერონ მწერლის ბიოგრაფია ამ მონაცემების მიხედვით.	**ვ)** რედაქტირების უნარ-ჩვევების გამომუშავება.
	ზ) ტექსტის გაგება-გააზრებისათვის საჭირო დეტალზე დაკვირვება.
	თ) ტექსტის სტრუქტურული მახასიათებლების ამოცნობის უნარის შემოწმება.
	ი) ფონოლოგიური უნარ-ჩვევების გამომუშავება.

<u>ამ დავალების პასუხები პასუხების ფურცელზე გადაიტანეთ შემდეგნაირად:</u> 26-ე ნომრის გასწვრივ მოცემულ ცხრილში თითოეული აქტივობის რიგითი ნომრისა და შესაბამისი მიზნის აღმნიშვნელი ასოს <u>გადამკვეთ უჯრედში</u> ჩასვით **X** ნიშანი.

(3) **27. მასწავლებელმა ლექსიკური მარაგის გამდიდრების მიზნით მოსწავლეებს მისცა დავალება:** *გაეცანით დაფაზე დაწერილ სიტყვებსა და განმარტებებს. მოიფიქრეთ სიუჟეტი და შექმენით ტექსტი, რომელშიც გამოიყენებთ ამ ლექსიკურ ერთეულებს.*

ა) იმსჯელეთ, რამდენად ეფექტიანია მასწავლებლის მიერ შერჩეული სასწავლო ქმედება.

ბ) აღწერეთ ამ მიზნის მისაღწევი სხვა სასწავლო ქმედება.

გ) დაასაბუთეთ თქვენ მიერ აღწერილი სასწავლო ქმედების ეფექტიანობა.

---

(2) **28.** თქვენი მიზანია მოსწავლეებს აუხსნათ მოთხრობითი ბრუნვის ფუნქცია.

ა) რა პრობლემას აწყდებით ამ საკითხის სწავლებისას?

ბ) აღწერეთ ერთ-ერთი სასწავლო ქმედება, რომელიც დაეხმარება მოსწავლეებს ამ პრობლემის დაძლევაში.

---

(3) **29.** მოსწავლემ დაწერა წინადადება: *მამამ შვილს სათამაშო გემი გააკეთებია.*

ა) გაუსწორეთ მოსწავლეს შეცდომა.

ბ) დაასახელეთ, რა ტიპის შეცდომა ან ხარვეზია მოცემულ წინადადებაში: მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული, სინტაქსური თუ სტილისტური.

გ) დაწერეთ, რა უნდა იცოდეს მოსწავლემ, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

---

(3) **30.** მოსწავლემ დაწერა წინადადება: *ქართველები ქვევრში ინახავენ ღვინოს, რომელიც თიხისაგან მზადდება.*

ა) გაუსწორეთ მოსწავლეს შეცდომა.

ბ) დაასახელეთ, რა ტიპის შეცდომა ან ხარვეზია მოცემულ წინადადებაში: მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული, სინტაქსური თუ სტილისტური.

გ) დაწერეთ, რა უნდა იცოდეს მოსწავლემ, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

---

(3) **31.** თქვენი მიზანია მოსწავლეები დააფიქროთ ბუნების დაცვის მნიშვნელობის შესახებ.

ა) დაასახელეთ, რომელ ნაწარმოებს შეარჩევთ წასაკითხად.

ბ) დაასაბუთეთ, რომ თქვენ მიერ შერჩეული ტექსტი დაგეხმარებათ მიზნის მიღწევაში.

გ) აღწერეთ სასწავლო ქმედება, რომელიც დაეხმარება მოსწავლეებს ამ ნაწარმოებში წამოჭრილი პრობლემის უკეთ გააზრებაში.